ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 8

26 დეკემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

17:30 სთ

სხდომა ჩატარდა ეკონომიკური განვითრების და საინვესტიციო პოლიტიკის და იურიდიულ საკითხთა კომისიებთან ერთად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კოისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი; ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე; ალექსანდრე ხუჯაძე; დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმარი:

მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ბიზნესის სტიმულირების განყოფილების უფროსი-გიორგი ებანოიძე

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ეკონომიკური განვითარების და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია.

გაერთიანებული კომისიების დღის წესრიგით განსახილველი იყო ერთი საკითხი

1, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (26.12.2017; 12-0317360129-03)

გიორგი ებანოიძემ ვრცლად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ევროკავშირისგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის გამოყოფის მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ბიზნეს აქსელერატორის შექმნაში. წარმოდგენილი პროექტის თანახმად გრანტის ოდენობა განისაზღვრა 506 633,93 (ხუთასექვსი ათას ექვსასოცდაცამეტი ევრო და ოთხმოცდაცამეტი ევროცენტი) ევროს ოდენობით, რომელიც

მოხმარდება ბიზნეს აქსელერატორის შენობის რემონტს და აღჭურვას. დამწყები ბიზნესის დამხმარე ექსპერტების სახელფასო ანაზღაურებას, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნეს გეგმების შექმნას. გრანტის ხანგრძლივობა მოიცავს ოთხ წელს, 2018-2021 წლებს.

ბიზნეს აქსელერატორის ერთ-ერთი ძომსახურება არის დამწყები კომპანიებისთვის სტრატეგიული დოკუმენტაციის განვითარება. საწარმოებს გაეწევათ დახმარება და უზრუნველყოფენ მათ ზიარი სამუშაო სივრცეებით, საკონფერენციო დარბაზებით, ბიზნესის/სტრატეგიის შექმნის კომპონენტითა და გაყიდვების ხელშეწყობით. სულ 2019-2021 წლებში შეიქმნება 120 ბიზნეს გეგმა. 30 კომპანიისათვის ყოველ წელს ორგანიზებული იქნება 1 მსხვილი და 2 მცირე გამოფენა. გაიმართება ბიზნეს ფორუმები, ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლებისა და გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება ვებ გვერდის 10 სხვადასხვა ნიმუში.

საკითხის განხილვა გაიმართა კითხვა - პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე განმარტებების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დადებითად შეაფასა საკითხი და გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები" გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ- გატანილი იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა